ციცინო პაპიაშვილი

დემოგრაფიული ვითარებისა და მეურნეობის ფორმების შესახებ ზემო იმერეთში (საჩხერის რაიონი)

ქართული სოფელი უძველესი პერიოდიდან არსებობდა, ფუნქციონირებდა და თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის განვითარების საქმეში. სწორედ მისი საშუალებით ხდებოდა ქვეყნის წინსვლა, ეკონომიკური გაძლიერება, ეროვნული ღირებულებების/სულისა და მენტალობის ჩამოყალიბება. შესაბამისად, მისი ისტორია ისეთივე ძველი და მრავალფეროვანია, როგორც ქვეყნის ისტორია.

ქართულმა სოფელმა უაღრესად სრულყოფილი ტრადიცები შექმნა, რომლებმაც ასახვა ჰპოვა ქართველი კაცის ხასიათში, მის ქცევებში, მშობლებისა და ქალისადმი დამოკიდებულებაში, შრომაში, სამშობლოსადმი თავდა-დებაში, ნათესაობისადმი პატივისცემაში, ჭირისა და ლხინის გაზიარებაში, ძმობასა და მეგობრობაში, სიყვარულში, ოჯახის სიწმინდის დაცვაში, სტუმარ-მასპინძლობაში, გარდაცვლილთა პატივისცემასა და ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებში.

ტრადიციები, რომლებიც სოფლად იქმნებოდა და იხვეწებოდა, მთელი ხალხის კუთვნილება ხდებოდა. ქართველთა ეთნიკურობა გლეხის შრომისმოყვარეობას, სულიერი ცხოვრების განუმეორებლობას, ორიგინალობასა და ინდივიდუალობას ეფუძნებოდა. ქართულ სოფელს, რასაკვირველია, თავისი სტრუქტურა და დასახლების ტიპი გააჩნდა. ზოგადი აღწერილობით ქართული სოფელი ასე გამოიყურებოდა: „ძირითადად სოფლის ცენტრში გამართულია მოსახლეობის (მამაკაცების) თავშეყრისა და სჯა-ბაასის ადგილი (საფიხვნო, სვიფი...), გარშემო მოწყობილია საცხოვრებელი სახლები, თავისი ეზოებით. სოფლის ცენტრში ასევე გამართულია სალოცავი, ზოგან სოფლის გარეთაც, ვინაიდან საქართველოში ვერ იპოვით სოფელს, რომელსაც მხოლოდ ერთი ეკ-

ლესია ჰქონდეს. ტრადიციულად, ეკლესიებთან იყო გამართული სასაფლაოც, ხშირად სოფლის გარეთ მდებარე, ვინაიდან სასაფლაოს სოფელში გაკეთებას ერიდებოდნენ. სოფლები ერთმანეთთან საურმე გზებით იყო დაკავშირებული. იგი ხშირად ისე იყო განლაგებული, რომ მის ცენტრში წყარო იყო მოთავსებული, სადაც ქალების თავშეყრის ადგილი იყო" (საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010: 575). ეს სტრუქტურა დღესაც შენარჩუნებულია და იგივე აღწერილობას შევხვდებით საქართველოს ნებისმიერ სოფელში (მეტ-ნაკლები განსხვავებებით).

საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ფასეულობებია, რაც თავისთავად გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს ქართველთა ცხოვრების წესზე, მენტალიტეტსა და ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად ქართული სოფლის არსებობასა და შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა და როლი ენიჭება ქვეყნისა და ხალხის განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეში.

საინტერესოა რა მდგომარეობაა დღესდღეობით თანამედროვე ქართულ სოფელში ეკონომიკური თუ დემოგრაფიული თვალსაზრისით, ინარჩუნებს თუ არა ის ძველ იერსახესა და დანიშნულებას, მისდევს თუ არა სოფლის მოსახლეობა მეურნეობის იმ ფორმებს, რომელიც მისთვის ოდითგანვე იყო დამახასიათებელი და ტრადიციული. სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა წარმოადგენს ნაშრომის მთავარ მიზანს. ნაშრომის მიზანს შეადენს სოფლის დღევანდელი მდგომარეობისა და ვითარების გარკვევა. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული სოფელის შესწავლით მკვლევარები მაინცდამაინც ინტერესს არ იჩენენ, არადა მისი ისტორიულ და დღევანდელ ჭრილში კვლევას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობაც გააცნია. ასე რომ, ეს თემა ფრიად აქტუალურია.

დღეს საქართველოში ბევრი სოფელი გაუკაცრიელდა, ბევრ მათგანში მოსახლეობა საერთოდ აღარ ცხოვრობს, ზოგან მხოლოდ მოხუცებს თუ შევხვდებით რაც, ფაქტობრივად, მომავალში ასევე სოფლის დაცლისა და გაუკაცრიელების მომასწავებელია. წინამდებარე ნაშრომში ზემო იმე-

რეთის, კერძოდ კი საჩხერის რაიონის სოფლების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ვითარებაზეა ყურადღება შეჩერებული.

სოფლების შერჩევის დროს ძირითადად პარამეტრად მათი დემოგრაფიული მდგომარეობა ავიღეთ, გარდა ამისა, დავინტერესდით მეურნეობის ფორმებით, მოსახლეობის წესჩვეულებებითა და ტრადიციებით, დღესასწაულებით და ა.შ. რადგან, მეურნეობა სოფლის მამოძრავებელი და გადამრჩენი ძალა იყო, აგრეთვე თითოეული სოფლის ტრადიცია და წეს-ჩვეულებები მათ ინდივიდუალობასა და განსხვავებულობას განაპირობებდა. შესაბამისად საინტერესოა რა მდგომარეობაა დღეს სოფლებში ამ თვალსაზრისით, რამდენად მისდევს მოსახლეობა მერურნობას, ინარჩუნებს თუ არა სოფელი მეურნეობის ტრადიციულ ფორმებს და ა.შ.

ქართულ სფელში გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება დღეს, ვიდრე ქალაქში, არადა ადრე პირიქით ხდებოდა, ამ ყველაფრის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი კი მიგრაციებია, როგორც შიდა, ასევე გარე. მოსახლეობა მიდის სოფლებიდან ძირითადად ქალაქის მიმართულებით, თუმცა არც გარე მიგრაციების ნაკლებობას განვიცდით, იმოტომ რომ საზღვარგარეთ წასულ ქართველთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მიგრაციების გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაგვარია, ეს შეიძლება იყოს: ბუნებრივ-კლიმატური პირობები, საარსებო-ეკონომიკური პირობები და ა.შ. საქართველოში კი, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მიგრაციის არსებით ფაქტორთა შორის დასაქმებისა და საარსებო-ეკონომიურ პრობლემების გადაწყვეტას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა. ხაზგასასმელია, რომ მიგრანტების უმრავლეობას ახალგაზრდები წარმოადგენენ.

სახარბიელო ვითარება სოფლებში არც მეურნეობის წარმოების თვალსაზრისითაა. სოფელში მეურნეობას მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი მისდევს. ამის უმთავრესი მიზეზი კი, ერთის მხრივ, მოყვანილი პროდუქტის რეალიზებაა, რაც ურთულეს პრობლემას წარმოადგენს გლეხისთვის, რადგან არ არსეობობს ან ძალიან მცირე რაოდენობით ვხვდებით სოფლებში ისეთ დაწესებულებებს, სადაც პროდუქტის რეალიზებაა შესაძლებელი, მეორე მხრივ, კი როგორც უკვე ვთქვით, სოფლებიდან ახალგაზრდების უმეტესი

ნაწილი წასულია, სოფელი მხოლოდ ხნიერების ანაბარადაა დარჩენილი, რაც, ბუნებრივია, მეურნეობის მაშტაბებს ზღუდავს და სამომავლოდ ფრიად არასახარბიელო ტენდენციებს სახავს.

ზემო იმერეთი მოიცავს შემდეგ რაიონებს: ზესტაფონი, ხარაგაული, საჩხერე და ჭიათურა. „ზემო იმერეთი“ ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში გაჩენილი ტერმინია. ადრე მისი სახელწოდება არგვეთი (მარგვეთი) იყო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას რაჭის მთებიდან ფერსათის მთებამდე და ლიხის ქედიდან რიონამდე. თავდაპირველად არგვეთში შედიოდა ოკრიბაც.“ (თოფჩიშვილი 2010: 125).

აღსანიშნავია, რომ ზემო და ქვემო იმერეთი ერთმანეთისაგან ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულია, რაც ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებითაა განპირობებული. ზემო იმერეთში მეტწილად ხევური დასახლება შეინიშნება, ხოლო ქვემო იმერეთში კი დასახლება უფრო გაშილილი ტიპისაა (თოფჩიშვილი 2010: 125).

სანამ თანამედროვე დემოგრაფიულ მდგომარეობას მიმოვიხილავთ, თვალი გადავავლოთ XIX-XX საუკუნის სტატისტიკურ მონაცემებს. საჩხერის რაიონში შემავალი სოფლები თემების/საზოგადოებების მიხედვით იყო გაერთიანებული; ესენია: არგვეთის თემი, ჩიხის თემი, კორბოულის თემი, გორისის თემი, საირხის თემი, სარეკის თემი, ცხომარეთის თემი, ჭალის თემი, ჯალაურთის თემი, ჭალოვანის თემი, მერჯევის თემი.

1886 წლის მონაცემებით საჩხერეში დაფიქსირებული იყო 23.074 სული მცხოვრები. (Сводъ...). 1908 წლის მონაცემებით საჩხერეში 40472 სული მცხოვრებია ნაჩვენები და 7838 კომლი (საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა 1930: 225). ამ მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ 22 წლის განმავლობაში ქალაქ საჩხერეში მოსახლეობის რიცხვი 17. 398 ადამიანით გაიზარდა.

საინტერესოა რა მდგომარეობაა თემებში შემავალ სოფლებში 1886 წლის მონაცემების მიხედვით?

თემი	კაცი	ქალი	ჯამი
არგვეთი	3095	2743	5838

კორბოული	3273	2898	6171
ჩიხა	3126	2906	6032
ჭალოვანი	-	-	5033

გარდა 1886 და 1908 წლის მონაცემებისა გვაქვს აგრეთვე 1999, 2007 და 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები.

1999 წელი:

თემი	კომლი	სული
სარეკი	910	2342
ცხომარეთი	252	705
ჭალა	2004	5019
არგვეთი	1978	6394
გორისა	845	20391
საირხე	1560	4460
ჯალაურთა	614	1644
ჭალოვანი	455	1469
მერჯევი	950	2049

ჯამში ამ წლის მონაცემებით საჩხერის რაიონში 16226 კომლი და 47880 სული ცხოვრობდა.

2007 წელი:

თემი	კომლი	სული
გორისა	786	2317
საირხე	1709	5241
ჯალაურთა	658	1779
კორბოული	1935	6038
სარეკი	926	3064
ცხომარეთი	277	783
ჭალა	1615	5525
არგვეთი	2140	6780
ჭალოვანი	476	1539
მერჯევი	972	3072

როგორც ჩანს, ამ პერიოდში საჩხერის რაიონში 16409 კომლი და 54856 სული ფიქსირდება (დვალაშვილი 2010: 10-13).

რაც შეეხება თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციას არც ისე საგანაგაშოა, თუმცა არც საიმედო. მოსახლეობის თქმით, ახალგაზრდობის ნაწილი ტოვებს სოფლებს და სხვადასხვა მიმართულებით (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი) მიდის. მოსახლეობის ძალიან გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთაცაა წასული, ძირითადად თურქეთში ან საბერძნეთში. „ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი წასულია და სოფელში მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდის. უმეტესობა თბილისში ცხოვრობს, თუმცა რუსთავში და ქუთაისშიც გადადიან საცხოვრებლად, სადაც ყველაფერზე მუშაობენ ხელობაზე, ვაჭრობენ და მუშებად მუშაობასაც არ თაკილობენ." (სოფელი ჭალა. არჩილ აბაშიძე. 53 წლის, 2014 წ.).

„ახალგაზრდები ძირითადად წასულები არიან ქალაქში, ზოგი თბილისში, ზოგი რუსთავში, აქ სამუშაოები აღარაა. ჩემი შვილიშვილები სოფელში ცხოვრობენ, მაგრამ უმუშევრები არიან და ისინიც წასვლაზე ფიქრობენ. მე ოთხი შვილი მყავს, ორი ბიჭი და ორი გოგო, ორივე ბიჭი წასულია ქუთაისში, რადგან აქ სამუშაო ვერ იპოვეს. იქ ხელობაზე მუშაობენ". (ორღული. შუშანა მიშველაძე, 86 წლის. 2014 წ.).

საჩხერის სოფლებში არც ისე ბევრი სახლია გამოკეტილი. სოფლებში თითო-ოროლა სახლს თუ შევხვდებით მთლიანად მიტოვებულს, რადგან ახალგაზრდები თუ არა პაპა-ბებია და დედ-მამა მაინც ცხოვრობს. „ჩვენ სოფელში დაკეტილი სახლები თითქმის არაა. ასეთ ლამაზ სოფელს ვინ მიატოვებს და ვინ წავა აქედან სამუდამოდ?!" (სოფელი სხვიტორი. მთხრობელი კლარა მაჭარაშვილი. 78 წლის. 2014 წ.). „ძალიან ცოტა სახლია დაკეტილი, მთლიან სოფელში ალბათ 10-15 სახლი იქნება დაკეტილი. ჩემ უბანში 1-2 სახლია მხოლოდ დაკეტილი" (სავანე. ჟენია მეცხვარიშვილი. 75 წლის. 2014 წ.).

2014 წლის სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

თემი	კომლი	სული
სარეკი	954	3119
არგვეთი	2317	7128

გორისა	794	2413
საირხე	2499	7701
ჯალაურთა	1018	3058
კორბოული	2091	5542
ჭალოვანი	496	1448
მერჯევი	980	3280

ჯამში 17.242 კომლი და 55.5361 სული (დვალაშვილი 2010: 10-13).

როგორც სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა 1999-2007 წლებში მოსახლეობის რაოდენობა 183 კომლითა და 6976 სულით გაიზარდა, ხოლო 2007-2014 წლებში – 833 კომლითა და 680 სულით.

ბუნებრივია, სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობა სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაზეც აისახება. საჩხერეში ყველა სოფელს ახალი საშუალო სკოლები აქვს, გარემონტებული და ყველაფრით უზრუნველყოფილი. სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი მცირე ნამდვილად არაა, თუმცა წინანდელთა შედარებით შემცირებულია.

„სკოლაში 200-300 მოსწავლეა, მე რომ ვსწავლობდი 500 ბავშვი იქნებოდა. ბოლო პერიოდამდე პარალელური კლასებიც არსებობდა და თითოში 30-35 ბავშვი იყო, წელს რიცხვი შემცირებულია, რადგან **მხოლოდ ერთი პირველი კლასი შედგა და იქაც მხოლოდ 20 მოსწავლეა**. ეს იმის გამო არ ხდება, რომ მოსახლეობა აღარაა სოფლებში, უბრალოდ მშობლებს შვილები რაიონული ცენტრის სკოლებში დაყავთ“ (მერჯევი. ეთერ ნამგალაძე. 82 წლის. 2014წ.).

ამრიგად, როგორც ვხედავთ ზემო იმერულ სოფლებში მოსწავლეთა რიცხვი რადიკალურად შეცვლილი და შემცირებული არაა, თუმცა კლებას მაინც აქვს ადგილი.

ალბათ, ყველა ჩვენგანისათვის საინტერესოა რითი ირჩენს თავს სოფლიდან წასული ახალგაზრდობა? პოულობს თუ არა ქალაქში (რუსთავი. თბილისი, ქუთაისი) შესაბამის სამუშაოს, რითიც თავის გატანაა შესაძლებელი. როგორც ჩაწერილი მასალებით ირკვევა, წასული მოსახლეობის 99% თბილისსა თუ სხვა ქალაქებში ვაჭრებად, მუშებად და ხელოსნებად მუშაობენ და ამითი ირჩენენ თავს.

„ქალაქში გადასული ახალგაზრდები ძირითადად ვაჭრობენ, ზოგი მუშადაც მუშაობს. აბა, რა ქნან სხვა გზა არ აქვთ. სოფელში სამუშაო არაა და თავი ხომ უნდა ირჩინონ რამით" (სავანე. კალენიკა კომლაძე. 78 წლის. 2014 წ.).

„სოფლიდან ცოტა ახალგაზრდაა წასული, თუმცა ვინც წავიდა ქალაქში მუშად და ხელობაზე მუშაობს, საზღვარგარეთ ჩვენი მხრიდან არავინ არ მიდის“ (ბჟინევი. თამაზ რაზმაძე. 75 წლის. 2014 წ.).

როგორც ვხედავთ, ზემო იმერულ სოფლებში (საჩხერის რაიონი) დემოგრაფიული თვალსაზრისით საგანგაშო ვიტარება არაა, თუმცა ყურადღებას ნამდვილად საჭიროებს, ვინაიდან უპერსპექტივო მომავალი სოფლებში დარჩენილ მოსახლეობას (განსაკუთრებით ახალგაზრდობას) წასვლაზე და სახლ-კარის მიტოვებაზე აფიქრებინებს. დღემდე ზემო იმერეთში მოსახლეობის დამაგრებას ხელი ეკონომიკური პირობების გამუმჯობესებამ შეუწყო. ერთი პერიოდი ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, გაიხსნა ქარხნები, ბანკები, ამ ყველაფერმა კი ხელი არამარტო მოსახლეობის დამაგრებას შეუწყო, არამედ წასული მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც კი დააბრუნა უკან მხარეში.

„პირადად მე, წლების განმავლობაში წასული ვიყავი სოფლიდან და ქალაქში ვცხოვრობდი, თუმცა როგორც კი დავინახე სასიკეთო ძვრები, საჩხერის რაიონში მაშინვე დავბრუნდი და მშობლიურ მხარეში გავაგრძელე მოღვაწეობა. ახლა წასვლაზე აღარ ვფიქრობ, თუმცა მაინც მინდა ვთქვა, რომ იმედი გამიცრუვდა, რადგან ყველაფერი დროებითი და მოჩვენებითი აღმოჩნდა (ჭალა. არჩილ აბაშიძე. 53 წლის. 2014 წ.).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობა ზემო იმერეთში საგანგაშო არაა, თუმცა უმუშევრობა, სამუშაო ადგილებისა და დასაქმების პერსპექტივის არქონა სოფლებში დარჩენილ მოსახლეობას წასვლას აიძულებს, მუდმივ მაცხოვრებელთა რიცხვი თანდათან მცირდება და ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების მხრიდან სასწრაფო ღონისძიებებია გასატარებელი, ვინაიდან სწორედ ხელისუფლების ჩართულობითა

და ძალისხმევითაა შესაძლებელი სოფლებში მოსახლეობის არათუ დამაგრება, არამედ სოფლიდან წასული მოსახლეობის უკან დაბრუნება და მშობლიურ მხარეში დაფუძნება. მოსახლეობა, ამ მხრივ, თვითონ აძლევს მთავრობას რეკომენდაციას და ძირითადად სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმებას მოითხოვს. ამ ღონისძიებების გატარება აუცილებელია, რათა სოფლები არ დაიცალოს და შენარჩუნდეს ის კულტურა და ტრადიციები, რაც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, მხოლოდ ასე შეძლებს სოფელი იერსახისა და ფუნქციების შეინარჩუნებას.

დაბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სოფლებში მოსახლეობის დაბრუნება და დამაგრება ხელს შეუწყობს მიწათმოქმედბისა და მესაქონლეობის განვითარებას, მოსახლეობა უფრო აქტიურად დაიწყებს მიწების დამუშავებას (რასაკვირველია ხელისუფელბის მხრიდან ხელშეწყობა აქაც აუცილებელია), ხილ-ბოსტნეულის მოყვანას უფრო მაშტაბურ სახეს მისცმეს, საბოლოოდ კი, ეს ჩვენ ეკონომიკაზე დადებითად აისახება, ვინაიდან დღესდღეობით ბაზარში არსებული პროდუქტის უმრავლესობა მეზობელი ქვეყნებიდანაა შემოსული, რაც ფასს ერთიორად ზრდის, ქართული პროდუქტის არსებობის შემთხვევაში კი ეს პრობლემაც აღმოიფხვრება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოგრაფიასთან ერთად, ჩვენი კვლევის საგანს თანამედროვე ქართული სოფლის მეურნეობაც წარმოადგენს, საინტერესოა რამდენად შეინარჩუნა სოფელმა მეურნეობის ტრადიციული ფორმები, ხომ არ გაჩნდა ახალი დარგები, ან ხომ არ ტრანსფორმირდა ტრადიციული ფორმები? სწორედ ამ კითხებზე პასუხის გაცემა წარმოადგენს ჩვენ მიზანს. თუმცა სანამ თანამედროვე ვიტარებას მიმოვიხილავთ, თვალი გადავავლოთ ზემოიმერულ სოფლების მეურნეობის ისტორიას.

ზემო იმერეთში (საჩხერის რაიონი) ტრადიციულად მეურნეობის ორი დარგი იყო წამყვანი და ძირითადი: მევენახეობა და მესაქონლეობა. აღსანიშნავია, რომ იმერეთის პლატოზე ძირითადად მარცველეული კულტურების მოყვანით იყვნენ დაკავებულნი, როგორიცაა მაგალითად: ღომი, მოგვიანებით სიმინდი, დაბლობში აგრეთვე მისდევდნენ მებოსტნე-

ობას, მებაღჩეობას და ა.შ. (ლორთქიფანიძე 1997). ხოლო რაც შეეხება მევენახეობას და ზოგადად ვაზის კულტურას უფრო მაღლობ ადგილებში იყო კარგად განვითარებული, მაგალითად: ჭიათურის, საჩხერისა და ხარაგაულის რაიონებში, ანუ ძირითადად ზემო იმერეთის ტერიტორიზე (საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010).

„რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლიევის აღწერილობაში, რომელიც 1650-1652 წლების ვითარებას ასახავს, ნათქვამია, რომ იმერეთში ყოველ მოსახლის ეზოში ხეხილი და ვაზი აქვს დარგული“ (საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010: 125).

როგორც უკვე ვთქვით, მევენახეობა მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია ზემო იმერეთში და მას ამ მხარის ეკონომიკაში ოდითგან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იმერეთში შემდეგი ვაზის ჯიშებია გავრცელებული: „ძელშავი, აკიდო, დონდღლაბი, მელის კუდი, ტრედის ფეხი, თითა, რკო, ბუღია, საფერე ანუ საფერავი, შავი ბუდეშური, ადანასური, ქველოური, არაბიული, ჩხავერი, შავი კამური, ჯანი, ხოლო თეთრი ჯიშებიდან კუნა, კვირისტავა, ხარისთვალა, ყურწითელა, მწვანე, შანთი, თეთრი ბუდეშური, მაისა, ქართულა“ (საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010: 437).

აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთში და ზოგადად იმერეთში მევენახეობის სხვადასხვა ფორმები გვხვდება, კერძოდ, აქ ძველთაგანვე გავრცელება ჰპოვა, როგორც ბუნებრივ ასევე ხელოვნურ საყრდენზე გამართულ-დაკავებულმა ვენახმა. იმერეთში აშენებდნენ შემდეგი ტიპის ვენახებს: მაღლარს, დაბლარს, ოლიხნარს, რომელიც თავისებურ გარდამავალ ფორმას წარმოადგენს მაღლარასა და დაბლარს შორის (ლორთქიფანიძე 1997).

ზემო იმერეთში მევენახეობასთან ერთად აქტიურად მისდევდნენ აგრეთვე მეცხოველეობა-მესაქონლეობასაც. ძირითადად აშენებდნენ ძროხას, ცხვარს, ცხენს და კამეჩს, მსხვილფეხა პირუტყვთან ერთად აშენებდნენ ღორსა და ცხვარს. აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთში მესაქონელობა უფრო კარგად იყო განვითარებული, რაც ძირითადად ამ მხარეში საძოვრების დიდი რაოდენობით იყო განპირობებული. გარდა მესაქონელობისა ზემო იმერეთში მცირე დოზით

მეფრინველეობასა და მეფუტკრეობასაც მისდევდნენ (ლორთქიფანიძე 1997).

თანამედროვე ზემოიმერულ სოფლებში ძირითადად მეურნეობის ორი დარგია გავრცელებული: მესაქონლეობა და მევენახეობა, მისდევენ აგრეთვე მიწათმოქმედებასაც. სოფლის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მეურნეობის არსებობის გარეშე სოფელი და სოფლის არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია. ამიტომ სოფლებში დარჩენილი მოსახლეობა მთელი ძალ-ღონით ცდილობს ტრადიციული დარგების შენარჩუნებას. ზემო იმერეთში თითოეულ სოფელში არცერთი ოჯახი არ იქნება მიწას რომ არ ამუშავებდეს, ყველა მათგანს აქვს ვენახიც და შეძლებისდაგვარად მესაქონლეობასაც მისდევს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაშინ რაღა გვაშფოთებს? მეურნეობის მხრივ სოფლებში იდეალური მდგომარეობა ყოფილაო? თუმცა, სამწუხაროდ, არც ასეა საქმე. მართალია, გლეხი შრომობს, ამუშავებს მიწას, უვლის ვენახს, მაგრამ მხოლოდ იმ რაოდენობით რაც მისი ოჯახისთვისაა სამყოფი. სამომავლოდ კი სოფლის მეურნეობის ეს მდგომარეობა ქვეყნისთვის არასახარბიელობ ვითარებას სახავს. მეურნეობის ფორმები არ ტრანსფორმირებულა და არც ახალი დარგები შემოსულა. გარდა ამისა, მოსახლეობა მისდევს აგრეთვე მეფუტკრეობას, მეფრინველეობასა, თუმცა ამ ორი დარგის მასშტაბები მცირეა.

„დღეს ძირითადად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მივდევთ, გვაქვს ვენახებიც, თუმცა მცირე რაოდენობით ყურძენი მოგვყავს, მხოლოდ იმდენი ოჯახისთვის დავწუროთ ღვინო და ვიმყოფინოთ. სხვა რა საქმე აქვს გლეხს, მიწა თუ არ დაამუშავა თავს რითი ირჩენს?!“ (სავანე, კალენიკა კომლაძე, 78 წლის. 2014 წ.).

„დღეს საჩხერის სოფლებში ძირითადად ოჯახური მეურნეობებია, ცოტ-ცოტა ყველაფერს მივდევთ: მეფუტკრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მიწათმოქმედება, მებოსტნეობა. ყველაფერი მოგვყავს თავი რომ გავიტანოთ. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უფრო მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას მისდევს, მევენახეობასაც, რასაკვირველია. ჩვენ სოფელში მაცხოვრებლები ვინც არიან, ყველა ცდილობს თუნდაც ერთი გოჯი მიწის დამუშავებას,

რადგან სარჩო ჰქონდეს“ (ჭალა, არჩილ აბაშიძე, 53 წლის, 2014 წ.).

„საჩხერეში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებია გავრცელებული, ეს ძირითადად იმაზე იყო დამოკიდებული, თუ სოფელი ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე იყო გაშენებული, ამიტომ აქ გავრცელებულია მეურნეობის სხვადასხვა ფორმები: მიწათმოქმედება, მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა-მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა და ა.შ.“ (სოფ. სავანე, ჯიქური ქავთარაძე, 68 წლის, 2014წ).

თანამედროვე საჩხერის რაიონში ძირითადად მოყავთ სიმინდი, ბოსტნეული კულტურები: კარტოფილი, სტაფილი, ჭარხალი, პომიდორი, კიტრი და ა.შ. აქცენტს იმ პროდუქტზე აკეთებენ რაც ოჯახის არსებობისათვის აუცილებელია.

„ჩემს ახალგაზრდობაში კოლმეურნეობები არსებობდა, მათ თავისი საწარმოები და ქარხნები ჰქონდათ და მოყვანილ პროდუქტს ადვილად ვაბარებდით. ახლა ყველაფერი უარესობისაკენ შეიცვალა, აღარც ქარხნებია და, სამწუხაროდ, აღარც პროდუქტი იმ რაოდენობით, რომ გასაყიდად რჩებოდეს. აღარ ვცდილობთ ბევრის მოყვანასა და გაყიდვას, ვიცით რომ ვერ გავყიდით, გაგვიფუჭდება და ვიზარალებთ. მოგვყავს მხოლოდ ჩვენი სამყოფი. ცოტ-ცოტა ყველაფერი გვაქვს: კარტოფილი, ჭარხალი, სიმინდი, სტაფილო, პომიდორი... ყველანაირი ბოსტნეული, რაც ჩვენ მიწებზე მოდის“ (სოფელი ზემო ორღული, შუშანა სამხარაძე-მიშველაძე, 86 წლის, 2014 წ.).

სოფლების მოსახლეობის თქმით, მიწების დამუშავება თანამედროვე ყოფაში ძალიან გართულებულია, რადგან ყველაფერი ძვირია, საწევავი, შხამ-ქიმიკატები და ა.შ. რაც მოსავლის მოყვანისათვის აუცილებელია. შემოსავალი არ აქვთ საკმარისი და უწევთ ვალების აღება, თუ გაუმართლებთ და კარგი მოსავალი მოვა, პროდუქტის ნაწილს ყიდიან და ვალებს ფარავენ, თუ არადა უგროვდებათ და ვერ იხდიან.

„ყველაფერი გაურესდა, მიწის დამუშავება ძალიან ძვირი გვიჯდება და მალე აღარც მოვკიდებთ, ალბათ, ხელს, თუ რამე არ შეიცვალა უკეთესობისაკენ. ყველაფერი ძვირია:

საწვავი, შხამ-ქიმიკატი, მოყვანილი პროდუქტი კი ხშირად ამის ხარჯებსაც კი ვერ გვიფარავს, სახელმწიფო უნდა დაგვიდგეს გვერდში, გააიაფოს და ხელმისაწვდომი გახადოს ყველაფერი თორემ გლეხი შეწყვეტს მიწის დამუშავებას“ (სოფ. სავანე, ავქსენტი კომლაძე, 84 წლის, 2014 წ.). ამ ეთნოგრაფიულ მასალას თუ ანალიზს გავუკეთებთ, ძნელი არ უნდა იყოს იმის განჭვრეტა, რომ საცხერის რაიონის სოფლებს სახარბიელო პერსპექტივა არ ელის.

გარდა მიწათმოქმედებისა ზემო იმერეთში წამყვანი ადგილი უკავია მეცხოველეობა-მესაქონლეობასაც. ძირითადად მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ ძროხების სახით, ადრინდელისაგან განსხვავებით აქ დღეს ნაკლებად შეხვდებით კამეჩსა და ცხვარს, მოსახლეობა, თითქმის, აღარ მისდევს მეცხვარეობას. აგრეთვე ჰყავთ მცირე რაოდენობით ღორებიც. აღსანიშნავია რომ, სოფლებში კვლავ მისდევენ მეფრინველეობასა და მეფუტკრეობას. „ძირითადად ძროხები გვყავს, მივდევთ ასევე მეფრინველეობასაც, გვყავს ღორები. ცხვარი ერთეულ ოჯახებს ჰყავთ, იმ რაოდენობით აღარ ვინახავთ როგორც ადრე“ (სოფელი ზემო ორღული, მთხრობელი შუშანა სამხარაძე-მიშველაძე, 86 წლის, 2014წ.).

საინტერესოა რატომ აღარ მისდევს მოსახლეობა მეცხოველეობა-მესაქონლეობას იმ მაშტაბით როგორც ადრე, რამ გამოიწვია მეურნეობის ამ დარგის დაკნინება, მითუმეტეს, რომ ზემო იმერული სოფლები, საძოვრების უხვი რაოდენობით გამოირჩევა?! მოსახლოება ამ ფაქტს სხვადასხვაგვარად ხსნის, ზოგის თქმით, პროდუქტის რეალიზებას ვერ ახდენენ ქარხნების უქონლობის გამო, ზოგი უკვე მოხუცდა და შეძლება აღარ აქვს საქონლის მოვლა-პატრონობის, ზოგს კი უბრალოდ სურვილი არ აქვს.

„ადრე კოლმეურნეობას ყველაფრის ფერმა ჰქონდა, საქონელი ასობით სული გვყავდა, ძროხა, თხა, კამეჩი. მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობას, ამზადებდნენ უხვი რაოდენობით ყველს, ძირითადად იმერულ ყველს, დიდი გობები გვქონდა და იქ ვინახავდით, შემდეგ კი ქარხნებში ვაბარებდით. დღეს მხოლოდ ოჯახისთვის ვყოლიობთ ძროხას, რძის ნაწარმი რომ გვქონდეს სახლში“ (ზემო ორღული, მთხრობელი შუშანა სამხარაძე-მიშველაძე, 86 წლის, 2014წ.).

„ძირითადად მიწას ვამუშავებთ, საქონელიც გვყავს ერთ-ორი სული, სახლისთვის რომ გავაკეთოთ რძის პროდუქტები, გასაყიდად, თითქმის, არ გვრჩება, უფრო ყველს ვყიდით ხოლმე“ (სოფელი მერჯევი, მთხრობელი ეთერ ნამგალაძე, 82წლის, 2014 წ.).

მევენახეობა-მეღვინეობა ზემო იმერულ სოფლებში, ისევე როგორც საქართველოს, თითქმის, ყველა რაიონში ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადსგენს. დღესაც შევხვდებით მამაპაპისეულ ვენახებსა და ვაზის ჯიშებს. ვენახი და ზოგადად ვაზის კულტურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იმერელი გლეხის ცხოვრებაში, ისინი უელიან და უფრთხილდებიან მამა-პაპის დანატოვარს და ცდილობენ ახალგაზრდობასაც შეაყვარონ და შეასწავლონ ვაზის მოვლის ხელოვნება. აქ დღესაც ვაზის მრავალი სახეობაა გავრცელებული: ძველშავი, ქვიშხური, ციცქა, ცოლიკაური, საფერავი, პინო და სხვა. „მევენახეობას სოფელში, თითქმის, ყველა მისდევს, გვაქვს ვენახები და ვუვლით, მოსავალი ჩვენი სამყოფი მაინც მოდის, ძირითადად სახლისათვის ვწურავთ ღვინოს, ძალიან ცოტას ვყიდით ხოლმე“ (ჩიხა, სოზარ იაკობაშვილი, 79 წლის, 2014 წ.).

„ჩვენთან ვაზის ბევრი სახეობაა გავრცელებული, ძირითადად გვაქვს ციცქა, ცოლიკაური, ძველშავი, ქვიშხური. ციცქა, ცოლიკაურისა და ძველშავის შერევით ვამზადებთ ღვინოს“ (სავანე, ჟენია მეცხვარიშვილი, 75 წლის, 2014 წ.).

„ეხლა ძირითადად ძველშავი და ცოლიკაური გვაქვს, თუმცა ჩემს ბავშობაში ბევრი სხვა ჯიშიც მახსოვს, რომელიც მაშინდელ ყინვებს უძლებდა, ეხლა კი, სამწუხაროდ, გადაშენდა: რკო, ხარისთვალა, ვარდიფერა, შამპანი. ბოლო პერიოდში ნამყენი ჯიშებიც შემოვიდა“ (ბჟინევი, თამაზ რაზმაძე, 74 წლის, 2014 წ.).

აღსანიშნავია, რომ საჩხერის რაიონის ბევრ სოფელში, ბოლო 5-10 წლის მანძილზე საინტერესო ტენდენციამ იჩინა თავი, წითელი ღვინის მისაღებად გლეხი თეთრ წვენს აყრის წითელ ჭაჭას და პირიქით, თეთრი ღვინის მისაღებად წითელ წვენს აყრიან თეთრ ჭაჭას. „ახლა ჩვენთან თეთრი ღვინოა მოდაში და ამიტომ ათეთრებენ ღვინოს. წითელ ყუ-

რძენს რომ გამოწურავ და თეთრ ჭაჭას მისცემ ეს ათეთრებს ღვინოს“ (ბეინეევი, თამაზ რაზმაძე, 74 წლის, 2014 წ.).

ბოსტნეული კულტურებიდან ძირითადად მოყავთ: პომიდორი, კიტრი, ბადრიჯანი, კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი და ა.შ. „ბოსტნეული აუცილებლად მოგვყავს, ცოტ-ცოტა ყველაფერი გვაქვს, რაც ჩვენს მიწაზე ხარობს: კარტოფილი, ბადრიჯანი, სტაფილო, პომიდორი და ა.შ“ (სავანე, ფედოსი მეცხვარიშვილი, 100 წლის, 2014 წ.).

საჩხერის რაიონის სოფლებში დღესაც დიდი რაოდენობით მოჰყავთ სიმინდი და ლობიო, ეს დღესაც მათი ძირითადი საკვებია. „სიმინდი და ლობიო ჩემს მამა-პაპასაც მოჰყავდა და ჩვენც მოგვყავს, ღომსა და მჭადს ხშირად ვაკეთებთ, ადრე პურის მაგივრადაც კი მჭადს ვჭამდით, ახლა ასე ადარაა, მაგრამ მჭადს მაინც ხშირად ვაცხობთ ხოლმე“ (სხვიტორი, კლარა მაჭარაშვილი, 78 წლის, 2014 წ.).

მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ზემო იმერეთში მეფუტკრეობაც იყო გავრცელებული, ოჯახებს საკმაო რაოდენობით სკები ჰქონდა, თაფლს უხვად იღებდნენ და ყიდიდნენ კიდეც. დღეს ამასა ოჯახური მეურნეობის სახე აქვს მიღებული და, სამწუხაროდ, თითო-ოროლა ოჯახში თუ შეეხვდებით სკას. „მეფუტკრეობას ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, დღეს დაკნინებულია ეს დარგი, რადგან ძალიან ცოტა ოჯახი ინახავს ფუტკარს“ (ჭალა, არჩილ აბაშიძე, 53 წლის, 2014 წ.).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მოსახლეობა მეურნეობის ტრადიციულ დარგებს არ ივიწყებს, მაქსიმალურად ყველა (მოხუცებიც) ცდილობს ტრადიციული დარგების შენარჩუნებას, რათა არ გადაშენდეს დარგები. თუმცა მაშტაბები ძალიან შემცირებულია წინანდელთან შედარებით, ადრე მოსახლეობა თუ ასობით ჰექტარ მიწას ამუშავებდა, დღეს ყველაფერს ოჯახური მეურნეობის ფორმა აქვს მიღებული. გლეხი მხოლოდ იმ რაოდენობის პროდუქტის მოყვანას ცდილობს, რაც მისი ოჯახისთვის წლის სამყოფი იქნება. მოყვანილი პროდუქტის გაყიდვას არავინ ცდილობს, მიზეზი სხვადასხვა გვარია, პირველი: მიწის დამუშავება ძალიან ძვირი ჯდება, გაძვირებულია საწვავი, შხამ-ქიმიკატები და ა.შ. და გარდა ამისა, მოყვანილი პროდუქტის რეალიზებაც

კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს საწარმოები და ქარხნები, სადაც პროდუქტის ჩაბარება იქნება შესაძლებელი. მოსახლეობა სახელმწიფოს ყურადღებისა და დახმარებისაკენ მოუწოდებს, მათი თქმით, აუცილებელია საწარმოებისა და ქარხნების გახსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის მეურნეობა ჩაკვდება. ხალხი მიდის ოფლებიდან, რადგან არსაიდან არ აქვთ შემოსავალი, მეურნეობის ამუშავების შემთხვევაში კი ყველა თავის კერას დაუბრუნდება, დამაგრდება და წასვლაზეც აღარავინ იფიქრებს, რადგან აქაც გაჩნდება სამუშაო და შემოსავლის წყარო: „ადრე კოლმეურნეობები არსებობდა, გლეხს უამრავი მოსავალი ჰქონდა და გაყიდვის არ ეშინოდა, რადგან ყველაანაირი პროდუქტის მიმღები ქარხნები არსებობდა, დღეს კი ყველაფერი განადგურებულია და სახელმწიფო არც კი პიქრობს ამ პრობლემის გამოსწორებას. აუცილებლად უნდა მოგვხედოს, აგვიშენონ, პირველ რიგში, ქარხნები, გაგვიიაფონ საწვავი, შხამ-ქიმიკატები და ყველაფერი უკეთესობისაკენ წავა, თუ არადა, ალბათ, მალე სოფლები დაიცლება და აქ აღარავინ დარჩება ვინც მეურნეობას აწარმოებს“ (ჩიხა, სოზარ იაკობაშვილი, 74 წლის, 2014 წ.).

დამოწმებული ლიტერატურა

დვალაშვილი 2010 _ დვალაშვილი გ. საჩხერე, თბ., 2010

ლორთქიფანიძე 1997 – რ. ლორთქიფანიძე, თბ., 1997

მასალები... 1978 – მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1978

საქართველოს... 1930 – საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1930.

საქართველოს ეთნოლოგია 2010: საქართველოს ეთნოლოგია/ეთნოგრაფია. რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010.

Сводъ 1893 - Сводъ статистическихь данныхь о населении закавказкаго края. Тиф., 1893 г.